აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №30

09/10/2024 **ქ. ბათუმი**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 01 სექტემბრის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 29 აგვისტოს №3, 2024 წლის 31 აგვისტოს №14, 2024 წლის 15 სექტემბრის №16, 2024 წლის 27 სექტემბრის №28, 2024 წლის 27 სექტემბრის №29, 2024 წლის 27 სექტემბრის №30, 2024 წლის 01 ოქტომბრის №39 განკარგულებების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 01 სექტემბრის №16 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებულ პარტიებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

1. №4 – კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა;
2. №5 – ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა;
3. №6 – ევროპელი დემოკრატები;
4. №8 – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;
5. №9 – ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!;
6. №12 – ჩვენი გაერთიანებული საქართველო;
7. №20 – თავისუფალი საქართველო;

8. №21 – ტრიბუნა;

9. №25 – გახარია საქართველოსთვის;

10. №36 – გირჩი;

11. №41 – ქართული ოცნება.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი